




# Foreign Policy Council

საგარეო პოლიტიკის საბჭო

## ქსენოფობიური ექსცესები - რისკი ეკონომიკური განვითარებისათვის

მამუკა აბულაძე





**Foreign Policy Council**

**საგარეო პოლიტიკის საბჭო**

მამუკა აბულაძე

**ქსენოფობიური ექსცესები - რისკი ეკონომიკური  
განვითარებისათვის**

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საგარეო პოლიტიკის საბჭოს.  
პუბლიკაციაში გამოთქმული დასკვნები წარმოადგენს ავტორის/ავტორების  
მოსაზრებებს და შეიძლება არ ასახავდეს საგარეო პოლიტიკის საბჭოს ხედვებს.

© 2018 საგარეო პოლიტიკის საბჭო

# ქსენოფობიური ექსცესები - რისკი ეკონომიკური განვითარებისათვის

*მამუკა აბულაძე*

ევროპის კავშირის ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც უმუშევრობის საშუალო მაჩვენებელია 7,7%, საქართველოში ის გაცილებით მაღალია და, ოფიციალური მონაცემებით, 13,9%-ს აღწევს (2017)<sup>1</sup>. სოციოლოგიური გამოკითხვები აჩვენებს, რომ მოსახლეობისთვის ნომერ პირველ პრობლემად უმუშევრობა, ხოლო სიღარიბე ქვეყნის ერთ-ერთ გამოწვევად კვლავ რჩება. საქართველოს ეკონომიკა, განვითარების მიუხედავად, მოქალაქეებს სთავაზობს დასაქმების შეზღუდულ შესაძლებლობებს, შრომის დაბალ ანაზღაურებას, სოციალური დახმარებისა თუ ცხოვრების არასაკმარის ხარისხს. უცხოეთში ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის ასეთ პირობებში ძლიერდება რასიზმისა და ქსენოფობიის გამოვლინებები და ასეთი რეაქციები ყოველთვის როდია გამოწვეული იმიგრანტების დიდი რაოდენობით<sup>2</sup>.

ეკონომიკის განვითარების დაჩქარებასა და სოციალური დამაბულობის ფონის დაძლევაში ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია საკუთარი სატრანზიტო და ტურისტული პოტენციალის გამოყენება. ბოლო წლებში გამოჩნდა უცხოელი სტუდენტების სასწავლებლად მოზიდვით შემოსავლების გაჩენის პერსპექტივაც. ასეთ ვითარებაში საზოგადოებაში უცხოელებისადმი არატოლერანტული განწყობები ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად შეიძლება იქცეს.

## საქართველოს სატრანზიტო პოტენციალი და საერთაშორისო მეგა-პროექტები

საქართველო ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან აქტიურად ცდილობს, გამოიყენოს თავისი ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა და მოიპოვოს აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებით ტვირთებისა და ენერგომატარებლების

<sup>1</sup> დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში, საქსტატის 21.05.2017 პრეს-რელიზი [http://www.geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/georgian/labour/dasaqmeba-umushevroba%202018.21.05\\_pres-relizi\\_GEO.pdf](http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/labour/dasaqmeba-umushevroba%202018.21.05_pres-relizi_GEO.pdf)  
<sup>2</sup> NGO Working Group on Migration and Xenophobia for the World Conference (in International Migration, Racism, Discrimination and Xenophobia, 2001. A publication jointly produced by ILO, IOM, OHCHR, in consultation with UNHCR.

ტრანზიტული ქვეყნის მნიშვნელობა. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი 1993 წლიდან ევროპის კავშირის მიერ მხარდაჭერილ, ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის TRACECA პროექტში მონაწილეობა იყო.

საქართველოს ევროპულ სამეზობლო პოლიტიკასთან მიერთების შემდგომ პერიოდში (2004) ევროპის კავშირი, ენერგომატარებლების მიწოდების დივერსიფიკაციის გზით, საკუთარი ენერგოუსაფრთხოების გაზრდაში ტრანსკავკასიულ მილსადენებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ამ მხრივ გადამწყვეტი იყო 2002 წლიდან ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა BTC და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის CSP პროექტის განხორციელება. ამჟამად აქტუალურია ამ უკანასკნელის გაფართოების პროექტი SCPX, რომლითაც ის თურქეთის აღმოსავლეთ საზღვარზე მიუერთდება ტრანს-ანატოლიის გაზსადენს (TANAP), რომელიც, თავის მხრივ, დასავლეთ თურქეთის საზღვარზე დაუკავშირდება ტრანს-ადრიატიკის გაზსადენს (TAP). კასპისპირა ქვეყნების მიერ 2018 წლის 12 აგვისტოს ხელმოწერილი შეთანხმებით სამართლებრივად დარეგულირდა ამ ზღვით სარგებლობა, რაც აქამდე ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა თურქმენეთის გაზის დასავლეთისკენ ტრანსპორტირებისათვის ტრანსკასპიული მილსადენის გასაყვანად.

საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის მიმართ ყურადღება ბოლო დროს განსაკუთრებით გაიზარდა. ბაქო-თბილისი-ყარსის საერთაშორისო რკინიგზის პროექტის განხორციელებამ ჩინეთიდან ევროპამდე ტვირთების რკინიგზით უწყვეტი გადაზიდვა გახადა შესაძლებელი. ამის კვალდაკვალ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა დაიწყო, რომელიც მნიშვნელოვანი შავიზღვისპირა ჰაბი გახდება. ამით ქვეყანა იკავებს ერთ-ერთი მნიშვნელოვან მიმართულებას ჩინეთის ინიციატივაში „ერთი სარტყელი - ერთი გზა“, რომელშიც მსოფლიო ვაჭრობის 1/3 და მოსახლეობის 60%-ზე მეტი ჩაერთვება.<sup>3</sup>

გავლენიანმა საერთაშორისო გამოცემამ Asiamoney 2018 წლის საუკეთესო პროექტებში გამარჯვებულად დაასახელა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი და თავისუფალი


---

<sup>3</sup> Belt and Road Initiative, March 29, 2018 <https://www.worldbank.org/en/topic/regional-integration/brief/belt-and-road-initiative>

ეკონომიკური ზონა, როგორც „სარტყელი და გზის“ საუკეთესო ინიციატივა ცენტრალური/აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური/დასავლეთ აზიის მასშტაბით.<sup>4</sup>

ირანი შარშან უკვე გამოხატავდა დიდ ინტერესს საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის მიმართ, როდესაც თბილისში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა საგარეო საქმეთა მინისტრმა მოჰამედ ჯავად ზარიფმა საქართველოს მთავრობას შესთავაზა სპარსეთის ყურისა და შავი ზღვის დამაკავშირებელ ახალი სატრანსპორტო დერეფნის შექმნაში ჩართვა. როგორც მედია წერდა, თეირანის ამ ახალ წინადადებას უმაღლესი ცივი სიგნალები რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან.<sup>5</sup>

რუსეთი თავად ცდილობს, დაინტერესებულ მხარეებს “ახალი აბრეშუმის გზის” აღმოსავლეთ-დასავლეთის ძირითად მარშრუტად საკუთარი ტერიტორია შესთავაზოს. ირანის იდეა, ანაკლიის პორტის გავლით შექმნას საზღვაო-სახმელეთო სატრანსპორტო შუნტი ბანდერ-აბბასიდან ბულგარეთამდე (ჩვენს მიერ რუკაზე მწვანე ფერით არის



<sup>4</sup> <http://www.interpressnews.ge/ka/article/513149-anakliis-portma-da-anakliis-sez-ma-evropisa-da-aziis-masshtabit-abreshumis-gzis-sauketeso-proektis-jildo-miigo/>

<sup>5</sup> <https://www.amerikiskhma.com/a/georgia-iran-north-south-transport-corridor-black-sea/3817044.html>

მონიშნული) წინააღმდეგობაში მოდის როგორც რუსეთის, ისე თურქეთისა და, ნაწილობრივ, აზერბაიჯანის გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებთან.

ამდენად, „ახალი აბრეშუმის გზის“ სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ დერეფნებში მონაწილეობის წამყვან როლებზე კონკურენცია იწვევს ჩვენი მეზობელი დიდი სახელმწიფოების ინტერესების გადაკვეთას, რაც გამოძახილს საქართველოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებშიც ჰპოვებს.

საერთაშორისო მეგა-პროექტებში ჩართვისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის მნიშვნელოვანი ხელსაყრელი ფაქტორია ის, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობის გარდა (1999-დან), საქართველოს ერთდროულად აქვს გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება ევროპის კავშირთან (DCFTA, 2014) და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან (2018), ასევე, მეზობელ ქვეყნებთან: სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება თურქეთთან (1995), თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებები რუსეთის ფედერაციასთან (1994), აზერბაიჯანთან (1996), სომხეთთან (1998) და სავაჭრო თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება ირანთან (2004) <sup>6</sup>.

### საერთაშორისო ტურიზმის განვითარება საქართველოში


ბოლო ათწლეულში საქართველომ დაიწყო საკუთარი დიდი ტურისტული პოტენციალის გამოყენება. ტურისტული ინდუსტრია სწრაფად ვითარდება, გასულ წელს საერთაშორისო მოგზაურების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა კიდევ 1,182,534-ით გაიზარდა და 7 მილიონს გადააჭარბა. ტურიზმი დიდ როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკაში: ქვეყნის სერვისის ექსპორტის შემოსავლიდან დაახლ. 68% ტურიზმზე მოდის, გასულ წელს საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლებმა 2.75 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა, ტურიზმის სფეროში შექმნილი დამატებული ღირებულება 257 მილიონი ლარით გაიზარდა და მშპ-ში ამ სექტორის წილმა 6.9%-ს მიაღწია. ტურიზმის განვითარებით უმჯობესდება მოსახლეობის საკმაოდ ფართო ფენების ეკონომიკური

<sup>6</sup> <http://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/InternationallegalAgreements.aspx>

მდგომარეობა: Booking.com-ის მონაცემებით, მხოლოდ თბილისში 4800 ბინა ქირავდება, 650 სასტუმრო და 240-მდე ჰოსტელი იღებს სტუმრებს. მათ გარდა, შემოსავალს იღებენ სავაჭრო და კვების ობიექტები, ასევე, ტურიზმთან დაკავშირებულ სხვა ინფრასტრუქტურაში დასაქმებული ადამიანები.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, გასულ წელს მნიშვნელოვანდ გაიზარდა რუსი (1,135,057), აზერბაიჯანელი (1,301,556), ირანელი (282,549) და სომეხი (1,287,168) ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა.

საერთაშორისო ვიზიტების სტრუქტურა მეზობელი და არამეზობელი ქვეყნებიდან მნიშვნელოვნად განსხვავდება: მეზობელი ქვეყნებიდან ვიზიტების მხოლოდ 51.8% მოდის ტურისტულ ვიზიტებზე, იგივე მაჩვენებელი არამეზობელი ქვეყნების შემთხვევაში 93.9%-ს აღწევს.<sup>7</sup> შესაბამისად, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთისგან განსხვავებით, ირანელი ვიზიტორების რაოდენობის ზრდას უპირატესად ტურისტული ვიზიტების მატება განაპირობებს. 2017 წელს განხორციელებული ვიზიტების მიხედვით ქვეყნების ტოპ-ხუთეულში<sup>8</sup> ბოლო წლების დინამიკა განსხვავებულია:




წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი

<sup>7</sup> საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია “საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა 2017”, თბილისი, 2018

<sup>8</sup> <https://gnta.ge/ge/სტატისტიკა/>

2013-15 წლებში ირანიდან ვიზიტების 68%-ით კლება (-60,866) გამოწვეული უნდა იყოს 2013 წლის 1 ივლისს საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის დაწესების შედეგად მოგზაურობისათვის შექმნილი სირთულეებით. 2016 წლის 15 თებერვალს ეს რეჟიმი გაუქმდა და 2016-17 წლებში ირანიდან ტურისტების ნაკადმა მკვეთრად, 12-ჯერ მოიმატა (+260,530).



სხვა ქვეყნებიდან საერთაშორისო ვიზიტორების მატების საერთო სურათის საპირისპიროა 2014-2017 წლებში თურქ ვიზიტორთა საშუალოდ 6%-იანი ყოველწლიური კლების ტენდენცია (-284,999). აღსანიშნავია, რომ იმავე პერიოდში ანალოგიური ტენდენცია შეინიშნება საქართველოში მცხოვრები თურქეთის მოქალაქეების რაოდენობის

დინამიკაშიც, რომელთა რაოდენობა, 2017 წელს, 2013 წელთან შედარებით, განახევრდა (-5,642, -56%)<sup>9</sup>.

ამ პერიოდში თურქეთთან სავიზო რეჟიმში ცვლილებები არ მომხდარა, ამდენად, ვიზიტორებისა და იმიგრანტების რაოდენობის კლება გამოწვეული უნდა იყოს სხვა გარემოებებით. ერთ-ერთ ასეთ შესაძლო ფაქტორად შეიძლება განვიხილოთ მედიასა და სოციალურ ქსელებში თურქოფობიური განცხადებების მოჭარბება, რასაც, ქართულ მოსახლეობაში ქსენოფობიური განწყობების კულტივირების გზით, ქვეყანაში ჩამოსული უცხოელისათვის საგრძნობი დისკომფორტის შექმნა შეუძლია.

### განათლება უცხოელი სტუდენტებისათვის

უკანასკნელ წლებში მატულობს ქართული უნივერსიტეტების რაოდენობა, რომლებიც უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამებს ნერგავენ და დიდ ყურადღებას აქცევენ უცხოელ სტუდენტთა მოზიდვას, სულ უფრო მეტი და მრავალფეროვანი ხდება

<sup>9</sup> მ.აბულაძე, საჯარო ინფორმაცია იმიგრაციის შესახებ, მწვანე კავკასია, 2018



უცხოენოვანი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები: 2012 წელს ასეთი პროგრამების საერთო რაოდენობა 88 იყო, 2014 წელს 160, ხოლო 2016 წელს 205-ს მიაღწია.

საქართველოში განათლების მისაღებად ჩამოსულ უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, 2017-2018 სასწავლო წელს საქართველოს 56 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მსოფლიოს 89 ქვეყნიდან 10 ათასი სტუდენტი სწავლობდა. უცხოელი სტუდენტების ნაკადების სახით ბოლო ათწლეულში შეიქმნა ქვეყნის ეკონომიკის, განათლებისა და მეცნიერების განვითარებისათვის ახალი შესაძლებლობა. თსსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET, 2016) კვლევის თანახმად, საქართველოში უცხოელი სტუდენტების ჯამური წლიური ფინანსური ხარჯი 195 მილიონ ლარს აღწევს, რაც საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 0.6%, ხოლო მომსახურების ექსპორტის 6% <sup>10</sup>.

როგორც ტურისტების, ასევე, უცხოელი სტუდენტების საქართველოში სასწავლებლად მოზიდვისათვის მნიშვნელოვანია მათთვის უსაფრთხო, ტოლერანტული და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა.


### **ქსენოფობიის გაღვივება და მისი ეკონომიკური შედეგები**

ბოლო წლების საზოგადოებრივ ცხოვრებას ახასიათებს ქსენოფობიური გამოვლინებების გახშირება. თურქოფობიული კამპანიის მასშტაბებსა და პერმანენტულ ხასიათზე წარმოდგენას იძლევა 2014-17 წლებში მედიის განვითარების ფონდის მიერ ჩატარებული მედიისა და სოციალური ქსელების მონიტორინგის მასალები. ერთი წლის განმავლობაში (17.02.2014 – 18.02.2015) სიძულვილის ენისა და სხვადასხვა ტიპის ქსენოფობიური გამოხატვის 573 შემთხვევა დაფიქსირდა, რომელთაგან ყველაზე მეტი (200) თურქოფობია/ისლამოფობიაზე მოდიოდა. თურქოფობიას ყველაზე მეტად საზოგადოების ცალკეული წარმომადგენლები აღვივებენ (77); მათ თითქმის თანაბრად მოსდევდნენ

<sup>10</sup> მიგრაციის პროფილი „უცხოელი სტუდენტები საქართველოში“ [http://migration.commission.ge/files/migraciis\\_profil\\_i\\_a5\\_geo.pdf](http://migration.commission.ge/files/migraciis_profil_i_a5_geo.pdf)

მედია (53) და პოლიტიკური პარტიები (52), შემდეგ სასულიერო პირები (8), ხელისუფლების ყოფილი (7) და მოქმედი (3) წარმომადგენლები.<sup>11</sup>

ერთი წლის ინტერვალით გაკეთებულ ანალოგიური კვლევისას (01.01.2016-15.10.2016) დაფიქსირებული 148 თურქოფობიული განცხადებიდან, რომელიც მედიაში 155-ჯერ გაშუქდა, ყველაზე მეტი შემთხვევა (57) პარტიებზე მოდიოდა, მათ მოსდევდა მედია (41), საზოგადოების ცალკეული წარმომადგენლები (28), საზოგადოებრივი ორგანიზაციები (17), ყოფილი ხელისუფლების (3) და მართლმადიდებელი ეკლესიის (2) წარმომადგენლები. ამ განცხადებების გარდა, მონიტორინგის დროს დაფიქსირებული ისლამოფობიური განწყობები (31) ხშირად თურქოფობიულ კონტექსტში კეთდებოდა.<sup>12</sup> მომდევნო წელს მედიის განვითარების ფონდმა აწარმოა ულტრანაციონალისტური ჯგუფების ფეისბუქ გვერდების მონიტორინგი (14.06.2017 – 11.07.2017). “ქართველთა მარშში” მონაწილეობის მოწოდებების გარდა, ამ გვერდებზე ნეოფაშისტური, სიძულვილის ენის შემცველი განცხადებები კეთდებოდა და ასეთივე შინაარსის ვიდეო მასალები ვრცელდებოდა. კვლევის თანახმად, ძირითადად იყო თურქოფობიული, ასევე ჰომოფობიური შინაარსის მასალები.<sup>13</sup>



თურქეთიდან ვიზიტების რაოდენობის შემცირების გარდა, შესაძლოა, ამ ფაქტორს გავლენა ჰქონოდა ბოლო წლებში თურქეთთან საგარეო ვაჭრობის დინამიკაში გაჩენილ კლების ტენდენციაზეც: თურქეთიდან იმპორტის მაჩვენებლები 2017 წელს, 2014 წელთან შედარებით, 20,5%-ით ნაკლებია (-355,086.6 ათასი US \$), ხოლო

საქართველოდან ექსპორტი შემცირებულია 10%-ით (-22,628.0 ათასი US \$)<sup>14</sup>.

<sup>11</sup> თამარ კინწურაშვილი, სიძულვილის ენა, ქსენოფობია. მედია მონიტორინგის ანგარიში 2014-2015 მედიის განვითარების ფონდი, 2015

<sup>12</sup> თამარ კინწურაშვილი, სიძულვილის ენა, 2016 წლის. მედიის განვითარების ფონდი, 2016

<sup>13</sup> FACEBOOK-ში ულტრანაციონალისტური ჯგუფების აქტიურობის მონიტორინგი “ქართველთა მარშის” წინ

<sup>14</sup> [http://www.geostat.ge/index.php?action=page&p\\_id=133&lang=geo](http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=133&lang=geo)

თურქული ბიზნესი ქვეყნის ეკონომიკაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ინვესტორია: 1997-2017 წლებში თურქეთიდან პირდაპირმა ინვესტიციებმა 1,583 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა, რაც ამ პერიოდში საქართველოში მთლიანად განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 8,61%-ს შეადგენს და სულ უფრო მზარდი დინამიკა აქვს.<sup>15</sup> არ არის გამორიცხული, მედიასა და სოციალურ ქსელებში საკმაოდ ფართომასშტაბიანი და პერმანენტული თურქოფობიული კამპანიის ნეგატიურმა გავლენამ ქართულ ეკონომიკაში თურქული ინვესტიციების მოზიდვის დინამიკა შემდგომში ისევე შეაფერხოს, როგორც ეს ამ ქვეყნიდან ვიზიტორების რაოდენობას და ვაჭრობას დაეტყო.

უკანასკნელ პერიოდში სოციალურ ქსელებში გაკეთებულ ქსენოფობიურ განცხადებებში, რომლებიც შემდეგ მედიით ტირაჟირდება, შესამჩნევია აქცენტის გადატანა თურქებიდან ირანული წარმოშობის პირებზე. ირანოფობიური შინაარსის მესიჯები მოკლებულია რეალურ საფუძველს და ხშირად შეთხზულ მითებსა და ტყუილს ეფუძნება<sup>16,17</sup>, ხოლო ირანელი იმიგრანტების რაოდენობა იმდენად მცირეა (1335 იმიგრანტი, მოსახლეობის 0,04%)<sup>18</sup>, რომ ობიექტურად ვერ შეუქმნიდა რაიმე დისკომფორტს ადგილობრივ მოსახლეობას. ამდენად, საფიქრებელია, რომ საქმე გვაქვს ხელოვნურად ინიცირებულ, პროპაგანდისტულ დეზინფორმაციულ კამპანიასთან, რომელიც მოსახლეობაში ირანელი ვიზიტორებისა და იმიგრანტების მიმართ ნეგატიური განწყობების შექმნისკენაა მიმართული.

თუ ირანოფობიური კამპანია მართულია, მაშინ ის გათვლილი უნდა იყოს ვიღაცის პოლიტიკურ/ეკონომიკურ ინტერესებში შემავალ შედეგებზე. შესაძლოა, ეს იყოს ლოკალური აქტორი - ადგილობრივი ბიზნესი და მისი „ლობისტები“, რომელსაც ეკონომიკის რომელიმე სეგმენტში კონკურენცია გაუმწვავდა ირანელ ინვესტორებთან.

<sup>15</sup> [http://www.geostat.ge/index.php?action=page&p\\_id=2230&lang=geo](http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=2230&lang=geo)

<sup>16</sup> ტყუილია, რომ ირანელების მოთხოვნით ვაშლიჯვრის ეკლესიაში ზარებს აღარ რეკენ <http://netgazeti.ge/news/306168/>

<sup>17</sup> „ფეისბუქში“ გავრცელებული ინფორმაცია ბაგრატის ტაძრის შეუსწავლელი ციტადელის ირანელებზე გასხვისების შესახებ, ყალბია <http://factcheck.ge/article/pheisbuqshi-gavrtsebuli-inphormatsia-bagratis-tadris-sheustsavlili-tsitadelis-iranelebeze-gaskhvisibis-shesakheb-sitsruea/>

<sup>18</sup> საქსტატი, 2018

ცნობილია, რომ უცხოელ ინვესტორთა საქმიანობასთან დაკავშირებულია უარყოფითი შედეგებიც, მათ შორის, ე.წ. „განდევნის ეფექტი“, რომელსაც ორი ფორმა აქვს:

- 1) კონკურენტული უპირატესობების მქონე უცხოურ კორპორაციებს შეუძლიათ ეროვნული კომპანიების შევიწროვება საქონლის ბაზრებზე;
- 2) ეს კორპორაციები თვითონ „ითრევენ“ ეროვნულ ბაზრებზე არსებული რესურსების, მათ შორის - ფინანსების, საგრძნობ ნაწილს.<sup>19</sup> მაგალითად, სამშენებლო სექტორში (რომელიც ირანული ბიზნესის ერთ-ერთ ინტერესს წარმოადგენს<sup>20</sup>) 2010-2016 წლებში უცხო ქვეყნის მოქალაქეების მფლობელობაში არსებული კომპანიების ხვედრითი წილი საერთო წლიურ ბრუნვაში გაოთხმაგდა და 11%-დან 46,9%-ს მიაღწია. იგივე შეიძლება ითქვას ირანიდან ტურისტულ ნაკადებზეც, საიდანაც, შესაძლოა, ძირითადად ირანული ტუროპერატორები იღებენ შემოსავლებს და ადგილობრივი ფირმები „განდევნილად“ გრძნობენ თავს ამ სეგმენტიდან.<sup>21</sup>

პარადოქსს ჰგავს, მაგრამ არ არის გამორიცხული, საქართველოში ირანოფობიური განწყობების დემონსტრირების გზით ტურისტების ნაკადის შეზღუდვაში თავად ირანის ხელისუფლება იყოს დაინტერესებული. იქ არსებულ თეოკრატიული მმართველობას შეიძლება გაუჩნდეს ირაციონალური შიშები, რომ ლიბერალურ საქართველოში მოგზაურობის შედეგად, თანდათან არ მოხდეს საზოგადოების „მენტალური ვესტერნიზაცია“, რაც რეჟიმის სტაბილურობას შეიძლება დაემუქროს.


ამ ორივე სავარაუდო შემთხვევაში, თუ ანტიირანული ქსენოფობიის გაღვივებას უკონტროლო ექსცესები არ მოჰყვა, რაიმე მნიშვნელობანი ზიანი სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს, საერთაშორისო ვაჭრობას და ინვესტიციების შემოდინებას არ უნდა მიაღგეს. ცალკეული ინციდენტები შეიძლება საგარეო უწყებებს შორის საპროტესტო ნოტების გაცვლითა და ახსნა-განმარტებებით ამოიწუროს, როგორც ეს 2018 წლის აგვისტოში ისფაჰანი-თბილისის რეისის შემოწმების დროს ირანელი ქალისათვის

<sup>19</sup> ი.მესხი, უცხოური ინვესტიციები და შრომის ბაზრის ტრანსფორმაცია საქართველოში (სადისერტაციო ნაშრომი), ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, 2017

<sup>20</sup> <http://www.economy.ge/?page=news&nw=334>

<sup>21</sup> საქართველოს 2017 წლის მიგრაციის პროფილი, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, თბილისი, 2017

თავსაბურავის მოხსნის მოთხოვნის შემდეგ მოხდა.<sup>22</sup> უფრო სერიოზული შედეგები შეიძლება მოჰყვეს ასეთი ტიპის კამპანიებს, თუ ისინი პროვოცირებულია რომელიმე დაინტერესებული სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესების კარნახით, ან „ჰიბრიდული ომის“ კომპონენტს წარმოადგენს და მათ მოჰყვა გართულებები სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში.



მაგალითად, 2013 წელს ირანთან სავიზო რეჟიმის დაწესებამ არა მხოლოდ ამ ქვეყნიდან ტურისტული ვიზიტების რაოდენობა შეამცირა: საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული პროცედურების გართულებამ სწრაფად იქონია ნეგატიური გავლენა ამ ქვეყანასთან ვაჭრობის მაჩვენებლებზე. ამასთან, 2014 წელს იმპორტზე

გაცილებით მეტად დაზარალდა ქართული პროდუქციის ექსპორტი (-39%, -18,747.67 ათასი US \$)

### დასკვნები და რეკომენდაციები

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2017 წლის ანგარიშის მიხედვით, ჩვენს ქვეყანაში უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა არის ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე დესტაბილიზაციის კერების შექმნა. საამისოდ ისინი აქტიურად იყენებენ „ჰიბრიდული ომის“ ტაქტიკას, რომლის საშუალებითაც პროპაგანდისტული მედიაკამპანიისა და დეზინფორმაციის კომპონენტების, დესტრუქციული პოლიტიკური ჯგუფებისა და საზოგადოებრივ-პოპულისტური გაერთიანებების გამოყენებით, სასურველი შედეგის მიღებას ცდილობენ.<sup>23</sup>

<sup>22</sup>Iran Slams Disrespect for Islamic Headscarves at Tbilisi Airport <http://en.mfa.ir/index.aspx?siteid=3&fkeyid=&pageid=36409&newsview=530838>  
<sup>23</sup> საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში 01.01.2017-31.12.2017 <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/179498>

ასეთ სასურველ მიზნად შეიძლება დასახული იყოს მნიშვნელოვანი საერთაშორისო სავაჭრო-სატრანსპორტო პროექტებისა და მიმართულებების სხვა, კონკურენტი ქვეყნების ტერიტორიებზე გავლისათვის ხელის შეშლა, საკუთარი გეოპოლიტიკური როლის შენარჩუნების ან გაძლიერებისთვის, ან „ჰიბრიდული ომში“ მოწინააღმდეგე სახელმწიფოს ეკონომიკური დაუძლურებისათვის. ამდენად, ქართული სოციალური ქსელებითა და მედიით წარმოებულმა ქსენოფობიურმა კამპანიებმა შეიძლება მართლაც იყოს მართული უცხოეთიდან და საქართველოს ეკონომიკურ წინსვლას საგრძნობი ზიანი მიაყენოს. არასახარბიელო სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციაში მყოფ ქვეყანაში, სურვილის შემთხვევაში, ადვილია საზოგადოებრივ-პოლიტიკური დესტაბილიზაციის მიღწევა და უცხო ქვეყნების მიერ საკუთარი ინტერესების გატარება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლებისათვის პრიორიტეტული უნდა იყოს:

- საზოგადოებაში უსაფუძვლო ქსენოფობიური განწყობების ზრდისათვის სათანადო ყურადღების მიქცევა და დროული რეაგირება, სახელმწიფოს ხელთ არსებული ყველა საშუალებით, განსაკუთრებით კი - საპასუხო და პრევენციული საინფორმაციო კამპანიების ჩატარებით. ეს მიმართულება არ უნდა იყოს მინდობილი მხოლოდ არასამთავრობო სექტორის ნებაყოფლობით ძალისხმევაზე და საქართველოს მთავრობამ ქმედითი ღონისძიებები უნდა გაატაროს ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ც“ ქვეპუნქტით აღებული ვალდებულების შესასრულებლად, რომელიც გულისხმობს ყურადღების გამახვილებას ისეთ საკითხებზე, როგორცაა „კანონიერად მცხოვრებ არამოქალაქეთა მიმართ სამართლიანი მოპყრობა და ინტეგრაცია, განათლება და ტრენინგი; და რასიზმისა და ქსენოფობიის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები“.

- ახლო თუ შორეულ სამეზობლოსთან ეკონომიკური და კულტურული კავშირების გაღრმავება და უცხოელ ვიზიტორებთან/იმიგრანტებთან დაკავშირებული ცალკეული ინციდენტების თუ პროვოკაციების დროული აღკვეთა ისე, რომ არ დაზიანდეს სახელმწიფოთაშორისი ურთიერებები და საგარეო-ეკონომიკური კავშირები;

- ტურისტული ბიზნესისა და უმაღლესი განათლების სექტორის განვითარებისათვის ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის განვითარებაში მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელებისა და ამ სფეროებში მოქმედი აქტორებისათვის ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით;
- საერთაშორისო სატრანზიტო პროექტებში აქტიურად ჩართულობის გაგრძელება და ამ გზით ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური განვითარებისათვის მყარი საფუძვლის შექმნა.

ტექნიკური რედაქტორი: გრიგოლ ჯულუხიძე

პროექტის კოორდინატორი: ირაკლი ჭყონია

პუბლიკაცია # 2

© საგარეო პოლიტიკის საბჭო, 2018

ჯანო ბაგრატიონის 7, 0160 თბილისი

(+995) 579760570; (+995) 595172374

[foreignpolicycouncil@aol.com](mailto:foreignpolicycouncil@aol.com)

[www.foreignpolicycouncil.com](http://www.foreignpolicycouncil.com)